



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-65.65212162

თარიღი:04/08/2021

**ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულის
სოფელ ზედა მუქედის N1 და N4 ქუჩების სახელდების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2021 წლის 19 ივლისის N27 სხდომის ოქმის ამონაწერის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მოხდეს ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზედა მუქედის N1 და N4 ქუჩების სახელდება თანდართული რუკის შესაბამისად (დანართი N1). კერძოდ:

ა. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის მიხეილ დვალიშვილის ქუჩა გაგრძელდეს და N4 ქუჩას, ასევე, მიენიჭოს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელი;

ბ. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N4 ქუჩის პირველ ჩიხს ეწოდოს „მიხეილ დვალიშვილის ქუჩის მეორე ჩიხი“;

გ. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N4 ქუჩის მეორე ჩიხს ეწოდოს „მიხეილ დვალიშვილის ქუჩის მესამე ჩიხი“.

დ. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N1 ქუჩას ეწოდოს „მიხეილ დვალიშვილის ქუჩის პირველი შესახვევი“, ხოლო ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N1 ქუჩის I ჩიხი გაუქმდეს.

2. განკარგულება მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო რეესტრს“ შემდგომი რეაგირებისათვის.

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერმა ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გადაუგზავნოს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“, მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის მიზნით,

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების გამოქვეყნება სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

